საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხვილი თეთრი ღორი



მსხვილი თეთრი ღორი

მსხვილი თეთრი ღორი, უნივერსალური პროდუქტიულობის მსხვილი მალმწიფადი ღორის ჯიში. გამოყვანილია XIX ს. ინგლისში ადგილ. გვიანმწიფადი ღორების მალმწიფად ჩინურ., ნეაპოლურ და პორტუგალიურ ღორებთან რთული შეჯვარებით. სსრკ-ში **მ. თ. ღ**-ის ჯიში შეიქმნა ხანგრძლივი სანაშენე მუშაობის შედეგად და არსებითად ახ. სამამულო ჯიშად ითვლებოდა, რ-იც სამნაირი ტიპის იყო: სახორცე, სახორცე-საქონე (უმეტესობა) და საქონე. ზრდასრული კერატი იწონიდა 300–350 *კგ*, ნეზვი – 200–250 *კგ*, ნაყოფიერება – 10–12 გოჭი ყოველ დაყრაზე. ინტენსიური სუქებისას 6 თვის მოზარდეული 100 *კგ* იწონიდა. **მ. თ. ღ.** საქართველოში პირველად XIX ს. I ნახ-ში შემოიყვანეს (ზესტაფონი, ბორჯომი, სურამი). ამ ჯიშს აშენებდნენ სანაშენე მეურნეობასა და ფერმაში, რ-საც ხელმძღვანელობდა 2 სახელმწ. ჯიშთსაშენი.